ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 15-48

6 მარტი
"---"-------- 2018 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის №3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის №3-11 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 01/03/2017, სარეგისტრაციო კოდი: 280080020.35.101.016372) და დადგენილების პირველი მუხლის:

1. „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების წესი" (დანართი1) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. სტიპენდიების გაცემის ადმინისტრირება

სტიპენდიის გაცემის ადმინისტრირებას ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (შემდგომში – სამსახური), უნივერსიტეტებიდან მოწოდებული ინფორმაციის (დანართი 1) საფუძველზე და ამ წესით დადგენილი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად.".

2. „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან სოციალურად დაუცველი სტუდენტების საფინანსების წესის“ (დანართი2) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედქციით:

„2. ქვეპროგრამის და დაფინანსების ადმინისტრირებას ახორციელებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (შემდგომში – სამსახური).“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანვე. მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 22 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**